სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

11 ივლისი 2025

N 363/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანიის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. აღთაკლიაში, შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანიის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკოპინგის დასკვნა N44;
2. შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N44 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანის“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში, სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/363-21-4-202507111441